წელიწადი 1-ლი № 21

რედაქციის მისამართი პუშკინის ქუჩა
სახლი გოკიელოვისა „ძმობის“ სტამბა
ში. ქ. ქუთაისი

ხუთშაბათი 31 აგვისტო 1917

რედაქტორი:
პატო მიქელაძე

გამომცემელი
ქალთა კლუბი

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

გაზეთის ფასი:	განცხადების ფასი:
1 წლით . . 6 მ.	პირველ გვ. პეტიტი 25 კ.
6 თვით. 3 მ. 50 კ.	უკანასკნელ გვერ. 15 კ.
1 ნახ. თვ. 1 მ. 80 კ.	სამგლოვიარო განცხადება . 5 მ.
1 თვით . . 80 კ.	

ხმა
ქართველი ქალისა

ფასი 10 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 10 კ.

ქალებო, დაიცავით საარჩევნო უფლება!

განცხადება.

ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბის ბიურო მოთავსებულია თბილისის ქუჩაზე სასტუმრო „იმპერიალის“ გვერდით ქურთოშვილის შენობაში. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშვადღევის 2 საათამდე და 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე. კვირეულად იმართება საზოგადო კრება საღამოს 7 საათზე კლუბის წევრთათვის. ვსთხოვ წევრებს თავი მოიყარონ ყოველ კვირა საღამოს 7 საათზე კლუბის ბიუროში.

31 აგვისტო.

ქალებო! თქვენ ხედავთ, მამაკაცების უთანხმოებამ და პარტიულმა შეჯიბრებამ, როგორი განსაცდელში ჩააგდო ამდენი ხნის ტანჯვით და ამდენი მსხვერპლის შეწირვის შემდეგ მოპოებული თავისუფლება. ის [illegible] ბრწყინვალე თავისუფლება, რომლის მოპოებას დღევანდელი თაობა ვერც იფიქრებდა, და რომელიც აგრე უეცრად, აგრე უსისხლოთ ჩაგვივარდა ხელში. ქალებო, მოუაროთ ამ ბრწყინვალე, ძვირფას განძს თანხმობით, ერთ სულოვნობით. ნუ გავგიჟდებით ორთავე სქესი პარტიული მანიით, გადავხედოთ პარტიის გარეშე ცხოვრებას, გადავხედოთ თვით ჩვენს დედაკაცურს მდგომარეობას და გავითვალისწინოთ ჩვენი და ქვეყნის საჭიროებანი. ის რაც ჩვენს ძმებს ავიწყდებათ, ის რაც მათ ჯეროვანათ არ გაუზომავთ და ან ყურადღების ღირსად არ სახავენ. ჩვენ მივსცეთ მათ მაგალითი, რომ შესაძლებელია საერთო და პარტიული ინტერესის ერთად დაცვა, რომ არსებობს საგანი, რომელიც ყველასათვის ერთნაირი საყვარელია, და ერთნაირად დასაცავი. და ეს საგანია პიროვნული და ეროვნული თავისუფლება. დღევანდელმა რევოლიუციამ, რომ დააკმაყოფილოს საერთო საჭიროებანი და ცალ მხრივად, როგორც სხვა ქვეყნების ძველი რევოლიუციის დროს არ გადასწყდეს მარტო ერთი მამრობითი სქესის სასარგებლოთ (ნამდვილად კი მათთვისაც საზიანოთ) დიადი საკითხი ქვეყნისა და ხალხის განახლებისა, საჭიროა ქალებმა წამოვაყენოთ ჩვენი მოთხოვნილებანი და განვაცხადოთ ერთსულოვანი პროტესტი, იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის წყალობით ჩვენ აგრე ხანგრძლივათ დამონებული ვიყავით.

მართლაც რას წარმოვიდგენთ დღეს ქალები კანონისა და სამართლის წინაშე? ჩვენ ვართ მუდმივ მცირეწლოვანათ აღიარებული! ჩვენ არა გვაქვს თანასწორი წილი დედ-მამის ოჯახში და თანასწორი ხმა ქმარშვილში, რომლის ძალით შეუძლიათ დედების შვილებიდან მოგლეჯა და გაძევება, თუ ამას უფლებიანი მეუღლე მოისურვებს.

[illegible] მდგომარეობით დედრობითი სქესი სასყიდელ ნივთათ იქცა! უპატრონო ახალგაზდა ქალიშვილებს და ბავშვებსაც, როგორც ეონა ზანგებს, ისე ყიდულობენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზანგებს სამუშაოთ და მოსამსახურეთ თეთრები ყიდულობდა, დღევანდელს უპატრონო ქალებს და ბავშვებს კი მამაკაცების გარყვნილი ნაწილი ყიდულობს თავისი პირუტყული ჟინის დასაკმაყოფილებლად, რომლებიც სხვა და სხვა ჭირით სნეულდებიან და გაუპატიურებულნი და დამცირებულნი გადაყრილნი არიან ქუჩაში სამარცხვინო სასიკვდილოთ.

ქალებო, მამაკაცებმა მოსპეს თავისი სქესის პიროვნული მონობა და თქვენ კი ამ სამარცხვინო მონობას თქვენი სქესისას სრულიად გულგრილათ უცქერით. თითქო ჩვენი დროის თეთრი მონები სხვა უცხო ჯიშისა იყვნენ და, არა თქვენი სახესა და გრძნობის მქონნი. ნუ თუ ქართველი დედათა სქესის თავმოყვარეობა, იმდენათ დაჩლუნგებულია, რომ არ შეინძრევა ის თავის ღირსების დასაცველად, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს ქალთა ადამიანური პიროვნების დამცირება ჩვენს სამშობლოში? არა, ეს შეუძლებელია!

მე მრწამს სიამაყე ქართველი ქალებისა, რომ ისინი პარტიულს შუღლს არ შესწირავენ თავიანთ ადამიანურს თავმოყვარეობას. და გადახედავენ თუ არა ცხოვრებას ვიწრო პარტიული მსოფლიოს გარედ, ისინი ჩაფიქრდებიან თავის სქესის მდგომარეობაზედ და შეიძლება ყველაზე მეტი აღშფოთებით მათ დაიძახონ: არ გაბედოთ ქალებით ვაჭრობა!

ამხანაგებო, გამოფხიზლდით, მიმოიხედეთ რა ხდება ქვეყანაზე და ვისგან ხდება! გაითვალისწინეთ რა გეჭივრებათ თქვენ, რა ეჭივრება ხალხსა და ქვეყანას. მამაკაცები პატივმოყვარეობის სიამაყით დათვრენ! პარტიული თავმოყვარეობა ყველაზე მაღლა დააყენეს! პარტიულმა თვით განდიდებამ დღევანდელ საშიშარ მდგომარეობაზე მათ თვალები აუხვა! ქალებო, ჩვენ მაინც შევერთდეთ, შევერთდეთ ჩვენს საერთო საჭიროების ნიადაგზე, რომ ჩვენმა შეერთებულმა და სამართლიანმა ხმამ, გამოიყვანოს ისინი პარტიულ ამპარტავნებიდან. ერს ელის პარტიული მონიით სიგიჟე და დავიცვათ იგი ამ სიგიჟიდან, რომ ყველანი ერთად არ ჩავიფერფლოთ რევოლიუციის ცეცხლში. მოაწყვეთ ყველგან, სადაც კი შესაძლოა ქალთა კავშირები [illegible] უფლებისა და თავისუფლების დასაცველად. გახსოვდესთ, რომ საერთო სოლიდარობა ბრძოლაში შობს საერთო ბედნიერებას. საერთო არევდარევა კი—საერთო მონობას. თავისუფლებას ებრძვის დღეს შინაური და გარეშე მტერნი, შევერთდეთ მის დასაცველად, რომ საერთო ძალით უშველოთ ჩვენს თავს, ხალხსა და ქვეყანას!.

მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა.

ამ გვარად ჩაეყარა სარძკველი ქალთა მონობას და ერთი მხრით უვიცობამ და მეორე მხრით ფიზიკურმა სისუსტემ ქალებიც დაუმორჩილა მას.

სანამ ომიანობის სასტიკით საკუთრებისადმი მისწრაფება და ბრძანებლობა ეგრე რიგათაც განვითარებული არ იყო მამაკაცებში, პატრიაქტიც თავის პირველ ნაბიჯში დედაკაცს მლობიერად და პატივისცემით ექცეოდა, ძველი ინდოეთის **რიგ—ვედიდან**,[1] რომელიც არსებობდა 35 საუკუნის წინად ბრამანიზმის კასტიურ სარწმუნოებათ გარდაქცევამდე ელიზე რეკლუს მოჰყავს იმ დროინდელ პატრიარქალური ოჯახის მაჩვენებელი ნიმუშები, სადაც ახალგაზდა ცოლს ქმარი შემდეგი სიტყვებით უხვდება: „ყველაფერი აყვავდება ოჯახში შენი გადმოხედვით, როგორც ადამიანი, ისე ცხოველი; შენ მოგვიტან ჩვენ ყველას უდიდეს სიხარულს. იყავ დაჯილდოვებული წმინდა ინდრით ათი ვაჟით და ვიყო მე შენი ქმარი მეთერთმეტე მათ შორის“.

ცხადია ცოლს ამ დროს წინანდელი მნიშვნელობა მფარველი დედისა წარხოცილი არა ჰქონდა, როცა ქმარი ეუბნება მას და ვიყო მე მეთერთმეტე შენს შვილთა შორის„ო. „ამ ადგილებში, სადაც ჩვეულება გეოგრაფიული გარესკნელით ვითარდებოდა, ამბობს რეკლუ, ქალი თავისუფალი უნდა უნდა ჰყოფილიყო, რადგან მას უხვდებოდა ბრძოლა, როგორც გარეულ მხეცებთან, ისე ყაჩაღებთან. და იმ დროინდელი ნაშთები გადმოგვცემენ კიდეც, რომ ქალი ამ ხანებში დიდი პატივისცემით სარგებლობდა“ო.

მაგრამ თუ, რომ ქალი აგრე პატ[illegible] რათ ევედრება ინდუსი ქმარი წმინდა ინდრას, რომ ის იყოს დაჯილდოვებული ათი ვაჟით და არა ქალით?

უეჭველია მისთვის, რომ მეომართა რიცხვი მომრავლდეს, რათა უფრო ადვილად დაიცვან თავი გარეშე თემის მოხტომიდან. და ასეთს შემთხვევაში უპირატესობაც ვაჟებს ეძლეოდათ, რომლის მრავლად ჰყოლა ეგრე სასურველი იყო თითეული ოჯახისათვის. მიუხედავათ ასეთი უპირატესობისა იმ დროინდელი ინდუსთა სარწმუნოება ქალისადმი მაინც დიდს პატივისცემას მოითხოვდა. „არ დაკრა ცოლს არასოდეს თუნდაც ყვავილი! ერთი დედა ათს მამათა ღირს. სრული ადამიანი,— მხოლოდ ქალვაჟიდან და ბავშიდან შესდგება.“ ამბობს მანუს კანონი.

როცა საზოგადოებამ სახელმწიფოებრივი ფორმა მიიღო და მილიტარიზმი, იმდენათ გაძლიერდა, რომ უმაღლეს სოციალურ ფუნქციათ იქცა, მან წარმოშვა როგორც თავისებური სარწმუნოება ისე სამართალი. და იერარქიულად დაწყობილ სოციალურ ორგანიზაციაში დედაკაცის უუფლებობაც ღვთისაგან და კაცისაგან დაკანონდა. ამ ხანებში ცოლს ბატონი ქმარი ისე უცქერის, როგორც საკუთარს ნივთს, რომელსაც თავის სურვილისამებრ ხმარობს: უნდა მოკლავს, უნდა გაყიდის და გააჩუქებს, ამის მაჩვენებელი ინდუსთა შემდეგი სარწმუნოება, რომელმაც წარმოშვა უსასტიკესი კულტი.

მანუს კოდექსში სიტყვა: მამა, მეუღლე და მესაკუთრე ერთ მნიშვნელოვანია.

ძველ რომში და საბერძნეთში

---

[1] ინდუსთა ერთ ერთი სალვთო წერილის წიგნია, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ბრამანთა სარწმუნოებისას.

ლახვარი საკუთრების სიმბოლოდ ითვლებოდა და რასაკვირველია მესაკუთრე და ბატონიც იქნებოდა, ვინც ამ ლახვრით სარგებლობდა.

ამ გვარად ომიანობის გავრცელებასთან ერთად, ქალთა მონობაც ვრცელდება, ლაშქრობა გახდა ერთად ერთ ღირსეულ საქმედ და იერარქიულად დაწყობილ საზოგადოების სათავეში ხმალ ამოღებული ბრძანებელი მეომარი დადგა, რომელმაც ყველაზე უწინ დედაკაცის პიროვნება გასრისა. და როგორც გაბატონებულმა წოდებამ აღიარა თავისი სისხლის ბუნებრივი უწმინდესობა დამონებულ წოდებასთან, ისე გაბატონებულმა სქესმა თავისი შემოქმედური ნიჭის უძლიერესობა დამონებულ სქესზე, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელს ბატონი და ყმა მამაკაცი ერთნაირი სიამაყით დასქეროდა.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება.)

მტირალი ქალწული.

ვნახე ქალწული, შეწუხებული.
ცრემლებსა ღვრიდა,
ტურფა ასული, ფიქრში წასული
სინანულს მგვრიდა.
რა მოხდა ნეტავ? და დავხედე
ვაზას გატეხილს,
დამაში ჩარგულს ვარდის შტოსა,
სევდით გადმოხრილს
ის დასქეროდა თავის ნაშრომს
სტკიოდა გული,
ლამაზი იყო მისი ცრემლი,
პირველი წყლული.
საბრალო ბავშო! შენი გული
ვხედავ მრთელია
მას არ სწვევია მწუხარება,
სატანჯველია!
გულიც ვაზაა ჩემო კარგო,
უნდა სიფრთხილე!
გესმის? პაწია მწუხარება
უკვე იხილე!!
შენც ხომ ვაზა ხარ? გრძნობიერი,
სათუთი ნაზი,
შენც ხომ ვარდი ხარ? ტურფა, ვარდი
ქორფა ლამაზი!?
უფთხოდე ბედის ქარიშხალსა
ყვავილი რგული,
რომ ძირს არ დაგცეს, არ გაგტეხოს
ტურფა ქალწული!!.

საფო მგელაძე

სიტყვა თქმული თამარ სვიმონის ასულის გოგოლაშვილი ხირსელის მიერ, 11 მარიამობისთვეს ქ. თელავში მასწავლებელთა კავშირის მიერ გამართულ საღამოზე.

ძლევა მოსილმა რუსეთის რევოლუციის ქარტეხილმა ჩვენს სამშობლოს ცის ტატნობზე შვების, იმედის სხივებით ამოანათა...

ამ არაჩვეულებრივ ისტორიულ მომენტში იჭედება პატარა ერების ბედ-იღბალი. აქ წყდება ყოფნა არ ყოფნის ბედი. ამ ბედის ქედვას თვით ერი უნდა შეუდგეს. თვით ხალხი უნდა შეუდგეს შემოქმედებითი მუშაობას. თვით ჩვენ უნდა ჩამოვასხათ ის ბუმბერაზი ბრინჯაოს ქანდაკება, რომელზედაც წითელი ასოებით იქნება აღბეჭდილი: **„თავისუფალი ქართველი ერი“**.

ჩვენ, დიახ ჩვენ თვით უნდა ავაჭრათ მთვარეს ის შავი ზოლი, რომელიც შავ ძძებში, ხვევდა ჩვენს ტურფა მხარეს და სევდით აკვნესებდა დამონავებულ ჩვენს ჩანგურს. ჩვენ თვით უნდა ავხსნათ მზეს ის მანდილი, რომელიც ცხოველ სხივებს არ უშვებდა ჩვენს ქვეყანაზე შავი არწივების შიშით! .

დე, თავისუფალმა მზემ მიმოაფინოს თვისი სხივები ჩვენს ქვეყანას, დე, ცხოველ-მყოფელმა სხივებმა შემოიჭრას ჩვენს ჭერ ქვეშ და თვისი სიცხოველით შემოქმედების ქარტეხილი დაატრიალოს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ, საბედნიეროთ!..

ასეთი შემოქმედების დრო დადგა. ერთმა ნაკადმა მზის სხივებისამ უკვე გამოაშუქა... მან ჩვენს სკოლას, აქამდის დამონებულს, დამუნჯებულს მთელი თავის სიძლიერით მიანათა...

მზის სხივებით ღვივის ქურა... გიზგიზებს ცეცხლი ერის სამჭედლოში... სკოლაში, სადაც უნდა გამოფოლადდეს ჩვენი სულის-კვეთება, ჩვენი შემეცნება, ჩვენი ხალხის შემოქმედება. ამ ახალმა სკოლამ უნდა მოგვცეს თავისუფალნი მოქალაქენი, მან უნდა ჩამოაყალიბოს თავისუფალი, მტკიცე პიროვნება, მან უნდა აღზარდოს ის ახალი თაობა, რომლებშიაც გამჯდარი იქნება სიყვარული თავისუფლებისა—და რომელთა გულის ცემა ეს ჩვენი სინიდისი იქნება, ჩვენი მომავალი...

ამ იმედით შესცქერის დღეს ქართველი ხალხი თავის სკოლას. ამ იმედით უცემს გული დღეს ქართველ დედას, ამ იმედით ცოცხლობს დღეს ქართველი ქალი. ამ შუქით უთბება გული მუშა ქალს, ამ იმედით გადმოდის სიხარულის ცრემლი გლეხის დედაკაცს. ამ იმედით შემოგყურებთ დღეს მშრომელი დემოკრატია... რომელმაც ეს დიადი განცდა მოგვანიჭა!..

მაგრამ, მე ვამბობ ქალს, დიახ ქალს, რადგან ის უფრო გრძნობს ამ მომენტის დიად მნიშვნელობას, მხოლოდ თავისუფალ დედას შეუძლია სიამაყით გაგზავნოს შვილი თავისუფალ სკოლაში...

სკოლა და ოჯახი, დედა და შვილი, ეს ისეა გადახლართული ერთმანეთში, რომ ამათი დაცილება არვის ძალუძს.

ერთი მონა და მეორე თავისუფალი, ერთი თავისუფალი და მეორე მონა, ეს არ შეიძლება და აი დღეს ამ რევოლიუციის ქარბუქში გამოინასკვა დედაკაცის „მე“, ამ ქარბუქში ჩამოესხა ქალის პიროვნება, თავისუფალი, აღდგენილი, მტკიცე და შეუპოვარი. დღეს ის პირველათ ცხოვრებას წინ უდგება სრულ უფლებიანი ქალი და ვაი იმას, ვინც გზას [illegible]... მით უფრო ძვირფასია [illegible] ქალისათვის ეს თავისუფლება, რომ ის ეხლა პირნათლათ წარდგება კაცობრიობის წინაშე და სიამაყით შეასრულებს თავის უწმინდეს მოვალეობას—დედობისას... მით უფრო სანატრელია მშრომელი ქალის, ტანჯულის მუშა ქალის უფლება, მისი პიროვნების აღდგენა, რომ ის აღადგენს დანგრეულ კერას, ის აღადგენს ენას და ძლიერ სულს თავის ერისას. დღეს უფლება ენიჭება ქართველ ქალს ჩამოირეცხოს ის სისხლის წვეთები, რომელიც საყვედურის მგლით იყო ჩამოდენილი...

„დემოკრატიამ უღალატა ერს, მან დააქცია ოჯახი, ქალმა დაივიწყა თვისი ხალხი“-ო,—ისმოდა ირგვლივ, მაგრამ რა შეეძლო ექმნა მონას? გეკითხებით თქვენ, განა მონამ იცის თვისი ფასი და უმაღლესი მოვალეობა?

სულ სხვაა დღეს!

დღეს შემოქმედს ოჯახს საძირკველი ეყრება. დღეს ქართველი დემოკრატია გაძლევთ თქვენ პიროვნულსა და ეროვნულს თავისუფლებას, მოსაწყობათ მოქალაქურ ცხოვრებისა!.. და თქვენ სინათლის დარაჯნო, თქვენ ახალი სკოლის ხელმძღვანელნო—მასწავლებელნო, უნდა აღზარდოთ ნამდვილი მოქალაქენი. გაწრთვნით შვილები თავისუფალ ქართველ ქალისა. განუმტკიცეთ მას კეთილშობილი სული. გამოაქანდაკეთ დედა ბრძნი ახალი ცხოვრებისა. ახალი გმირების აღსაზრდელად. ქართველი დედები თქვენ განდობთ, ჩვენს სიამაყეს, ჩვენს საუნჯეს, ჩვენს საყვარელს და ღირსეულად უწინამძღვრეთ მათ!“.

თამარ გოგოლაშვილის სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. ნიჭიერ ქალის ცეც-

საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლზე.

(როგორ ვებრძოლოთ პროსტიტუციას!)

ჩვენ ზევით დავინახეთ. რომ სამხედრო პირნი ერთობ ხელს უწყობენ ახალგაზდა ქალიშვილების გარყვნას. თავისთავად ცხადია, რომ სამხედრო პირთა თავ-აშვებულობასთან იგივე საშუალებით არის საჭირო ბრძოლა, როგორც დანარჩენ ახალგაზდების თავ-აშვებულობასთან.

ბევრი ფიქრობს, რომ ადრე დაქორწინება დაიფარავს მამაკაცებს პროსტიტუციიდან, მაგრამ ასეთი დიდი იმედი, რომ დავამყაროთ ადრე ქორწინებას, მაშინ არსებულ პირობებში მოგვიხდებოდა 14-15 წლის ვაჟების დაქორწინება, რომლებიც ხშირად არც არიან უბიწონი, ნამდვილად კი საჭიროა რომ მამაკაცებს დაეწყოთ სქესობრივი ცხოვრება არა ადრე 25 წლისა, როცა მათი ორგანიზმი საკმარისად მომწიფებულია, ამისათვის სასურველია ისეთი აღმზრდელობითი საშვალების გამონახვა, რომელიც ამ წლოვანობამდე დაეხმარებოდა ჭაბუკებს უბიწოების შენარჩუნებაში, მაგრამ სანამ ახალგაზდების აზრთა ამ ზომამდე გაუმჯობესდებოდეს, რასაკვირველია ადრე ქორწინებას პროსტიტუციიდან თავის მოსაგერებლად დიდი მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია. ბრძოლა პროსტიტუციასთან ძნელია, მისთვის, რომ მისი მსხვერპლი ხდება უვიცი, გამოუცდელი ახალ გაზდა ქალიშვილები, ხშირად თითქმის ბავშები, უპატრონო, მარტო ხელი ობლები. ეს ძრიელ აძნელებს ბრძოლას. საჭიროა გაღვიძება შეგნებისა მამაკაცებში, რომ ასეთი არსებანი საჭიროებენ თანაგრძნობას და რომ მათზე ძალის ხმარება, თუ მათი უვიცობით და უპატრონობით სარგებლობა, არის უღირსათ თავის დამცირება.

ბრძოლა პროსტიტუციასთან ძნელია მისთვის, რომ ეს ყიდვა და გაყიდვა დედაკაცის სხეულისა ბევრს დიდს ნივთიერ სარგებლობას აძლევს აქ მოთხოვნილება და მოწოდება, როგორც სხვა რომელიმე ვაჭრობაში აწესებს ფასებს. ამისათვის სრულიად გასაგებია, რომ გამყიდველს სურს იქონიოს ისეთი საქონელი, რომლისათვის მყიდველი მეტს ფასს გადაიხდის და რომელსაც მას, გამყიდველს, ნაკლებ შრომათ უღირს, ახალგაზდა ლამაზი ქალიშვილი უეჭველია უფრო მეტს მოგებას მისცემენ მათ და ისენიც ცდილობენ ასეთების შეძენას. უპატრონო ობლები, რასაკვირველია ყველაზე ნაკლებ სადავიდარაბოს აწევდის მას და ამისათვის ისენიც ეძებს მათში თავიანთ მსხვერპლს.

პროსტიტუტკების გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ მათი დიდი უმრავლესობა ეკუთვნის ღარიბსა და უვიც კლასს მცხოვრებლებისას. ამისათვის სიღარიბისა და უვიცობის შემცირებას ხალხში დიდი მნიშვნელობა აქვს პროსტიტუციასთან ბრძოლაში.

თუ ჩვენ დავეკითხებით თავს რა უნდა ვიგულისხმოთ სიტყვა სიღარიბის ქვეშ ის ერთობ ელასტიკური საკითხი ხდება. ერთი, რომელიც მთელი ოჯახით ცხოვრობს ერთს ოთახში, რომელსაც საშვალება აქვს ყოველ დღე ისაზრდოოს, წმინდათ ჩაიცვას, ბავშები სკოლაში გაგზავნოს და ხანდახან იაფ-ფასიანი გასართობიც ნახოს, თავის თავს ღარიბათ არა სთვლის, თუნდაც მას ყველა ეს მძიმე შრომათ უჯდებოდეს.

მეორე, რომლის კეთილდღეობა შედარებით მაღლა სდგას: ცხოვრობს 3—4 ოთახში' შეუძლია ხედ მეტიც საზრდოც იქონიოს, აგრეთვე ტანისამოსიც, შვილებს საშვალო სასწავლებელი გაათავებინოს, პირველს გადახედავს ისე როგორც ღარიბს. მესამე რომელსაც აქვს უფრო მეტი ნივთიერი საშვალება მეორეს ღარიბათ ჩასთვლის და სხვა და სხვა. ამგვარად საკითხს სიღარიბისას სხვადასხვანაირად ხსნიან. ამისათვის როცა ღარიბებზე ლაპარაკობენ სახეში ყავთ საერთო მისალები დაყოფა: ღარიბებზე, საკმარისად უზრუნველ ყოფილზე და მდიდრებზე. ქალაქებში საზოგადოთ მუშებს ღარიბებათ სთვლიან. მოხელეებს, სასულიერო წოდებას მასწავლებლებს, ვაჭრებს მუათანა კლასს ეძახიან ე. ი. უზრუნველ ყოფილთ. შემდეგ მოდის მდიდრები: სხვა და სხვა კაპიტალისტები, მდიდარი ვაჭრები, სახლის პატრონები მემამულეები და მოხელეები, რომლებიც დიდს ჯამაგირს იღებენ. თუ რომ ჩვენ გავზომავთ პროსტიტუციას ასეთი თვალსაზრით მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მისი მსხვერპლი მართლაც, რომ ღარიბ მცხოვრებთაგან გამოდიან. პროსტიტუტკებში იშვიათად შეხვდებით ვაჭრის, სასულიერო, მოხელეების და აზნაურთა ქალიშვილებს. მათი დიდი უმრავლესობა გლეხების, მუშების და ჯარის კაცთა ქალიშვილებია.

პროსტიტუტკათ არ მიდის აგრეთვე ცოტათ, თუ ბევრად განათლებული ქალები: გუვერნანტკები, მასწავლებელნი და სხვა დაწესებულებაში მოსამსახურენი. პროსტიტუტკების რიგი ივსება ხელზე მოსამსახურეებით, მრეცხავებით, მკერავ ქალებით და სხვა.

ყველამ იცის, რომ ეს ასეა და სტატისტიკაც გვეუბნება, რომ ეს ასეა. 243 პროსტიტუტკაში დ-რი ფედოროვის სტატისტიკურ ფურცლიდან ჩვენ ვხედავთ, ორს ბონას, ორს მაღაზიაში მოსამსახურეს და ერთს ბანკში დანარჩენი კი ეკუ-

ლით აგზნებულმა სიტყვებმა ბევრს ჩაუსახა იმედი, რომ ქართველი ქალის შემოქმედური ძალა არ ჩამქრალა. შემდეგ გაიმართა რუსულ-ქართული წარმოდგენა. რუსულად თამაშობდენ ბავშები, ხოლო ქართულად-კი ადგილობრივი სცენის მოყვარენი. წარმოადგინეს „დარისპანის გასაჭირი“ დ. კლდიაშვილისა, რაიც ჩინებულად შესრულებულ იქმნა. დასასრულ იგალობეს ია. სალხნიშვილის ხორომ მშვენიერი გალობით. საღამოს დიდი შემოსავალი ჰქონდა და ხალხიც მეტად ნასიამოვნები დაიშალა.

ქ. შემთხვევით თელაველი.

პირველობის მანია.

თუ რომ ძველი რეჟიმის დროს ხალხს სულს უხუთავდნენ, და წინააღმდეგი აზრის გამოსთქმას ვერავინ ბედავდა იმის შიშით, რომ მას ამისათვის სასტიკი სასჯელი ელოდა, დღეს ამ საერთო თავისუფლების დროს არა ნაკლებ იდევნება თავისუფალი და კრიტიკული აზროვნება, და თვითმოქმედება. გაბატონებული პარტია ჩვენი ქვეყნისა, რომელიც ახალ მთავრობათ გადაიქცა ზიზღსა და დევნას უცხადებს ყველა მათ, ვინაც მათ საწინააღმდეგო ხმას ამოიღებს. ცაგერში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით აკრძალული იყო სხვა პარტიების მიერ ხალხში პროპაგანდის გაწევა, გარდა ს.-დ.-ბისა. და როდესაც ასეთი განკარგულება ორმა „თავ-ხედმა დაარღვია ორთავენი ციხეში ჩასვეს.

სამტრედიაში ყოვლად უმიზეზოთ დაიჭირეს ადგილობრივი გამომძიებელი მ. კანდელაკი, კაცი—ცნობილი თავისი უანგარობითა და პატიოსნებით. წევრი ს. ფ. პარტიისა. და მისთვის რომ მან თავის ეზოში თოფი ისროლა. ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მას კონტრ-რევოლიუციონერობა დასწამა და მეტეხის ციხეში გაგზავნა. პირველობისა და ბატონობის სურვილი იმდენათ დიდია ამ პარტიაში, რომ რაც მისგან არ გადმომდინარეობს არ ინდობენ. განსაკუთრებით ამ პარტიის შეუგნებელი წევრები, რომელნიც დღეს ჩვენი პროვინციის ცხოვრებას განაგებენ. არ ვფიქრობ, რომ მათი მეთაურები კმაყოფილნი იყვნენ ასეთი ერთგულობით. მაგრამ, რომ მამაკაცები ერთობ არა კრიტიკული თვალით უცქერიან თავიანთი სქესის ამხანაგებს ესეც ნამდვილია, იმ დროს როდესაც ქალებიდან რაღაც განსაკუთრებულს ნიჭსა და მომზადებას მოითხოვენ, თვით მცირე მნიშვნელოვან ადგილებზე დასაშვებათ.

ასეთი უტაქტობა, ასეთი პიროვნების შეურაცხყოფა, რომ ჩაიდინა, რომელიმე კომისარ ქალს, მთელს საქართველოს გააყრუებდენ მამაკაცები ქალების სისულელის დასამტკიცებლათ. დღეს კი თავიანთი სქესის მიერ ჩადენილს აშკარა უვიცობას და უსამართლობას ერთობ თავაზიანათ უცქერიან და ცდილობენ ყველა ამის მიფუჩეჩებას და მათი პირის გამოწმენდას. დიდი პასუხ-საგებ დროში ვცხოვრობთ და უმთავრესი ყურადღება დღეს, ისედაც ჩამორჩენილს ჩვენს დაბა სოფელს უნდა მიექცეს. იქ არის საჭირო ნამდვილი ადამიანების და შეგნებული მომზადებული სოციალისტების მუშაობა, რომ ხალხს ღირსეული შეხედულობა ჰქონდეს მათზე და არა აღნიშნული დემაგოგების, რომელთაც შეუძლიათ წვრილმანი ხასიათით და უვიცობით სამუდამოთ სოციალისტებს პრესტიჟის დაცემა.

თავისუფლება და სამართლიანობა, აი რა უნდა უნათებდეს გზას დღეს თითეულს პარტიას. ამას კი სხვებისათვის ყველაზე ნაკლებ ის პარტია იცავს, რომელიც დღევანდელს ჩვენს ცხოვრებას მეთაურობს. ვშიშობთ არ გამართლდეს თქმულება, რომელიც ამბობს: „ვისაც სურს იყოს პირველი, უკანასკნელი ის დარჩება“-ო.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მთავარ სარდალმა კარნილოვმა კერენსკის მოსთხოვა, მთავრობა ჩამაბარეო. კერენსკიმ მთავარ სარდალმა გენერალ კლემბოვსკის გადასცა და პეტროგრადში სამხედრო წესები გამოაცხადა.

პეტროგრადის ბანკები ნიჟნე—ნოვგოროდში გადააქვთ.

არეულობის მოლოდინში.

27 მარიამობისთვეს. პეტროგრადში ქლეტას მოელოდენ.

პეტროგრადი.

იუწყებიან, რომ კერენსკიმ ლვოვი პასუხის ნაცვლად დაატუსაღა კარნილოვი თანამდებობიდან არ გადმომდგარა. ხმებია რომ ჯარის ნაწილი კარნილოვს ემხრობა. და კერენსკის მომხრე ჯარშუა და მთავარ სარდლის შეტაკებას მოელიან თუ ყაზახთა ჯარი კარნილოვს მიემხრო პეტროგრადს საშიშარი დღეები დაუდგება.

რევოლიუციის მდგომარეობა ყოველ გვარ შესაძლებლობის ნიადაგზე სდგას. რადგან ნამდვილი ერთობა რევოლიუციონერთა შორის დღითი დღე ირღვევა. კერენსკის თანამშრომლები ნელნელა ეცლებიან გასაკვირი არ იქნება, რომ ასეთი შემთხვევით, ავანტუსისტები სარგებლობდენ.

ახლო მომავალი დაგვანახებს თუ რითი გათავდება კორნილოვისა და დროებითი მთავრობის შეტაკება.

თბილისი.

თბილისში ხმებია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის იალტიდან გაპარვის.

ფიქრობენ, რომ [illegible] კავკასიაში იმყოფება.

ირ. წერეთელი.

ირაკლი წერეთელი ექიმების რჩევით საქართველოში მოდის.

კარნილოვის შესახებ ბრძანება.

გაიცა ბრძანება გერ. კარნილოვის დასაჭერათ. ხმებია რომ იგი პეტროგრადში მიმავალ საკავალერიო რაზმს მეთაურობს.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმის საერთაშორისო სოციალისტთა კონფერენცია არ შესდგა.

დირექტორია.

ხმებია, რომ კერენსკის მეთაურობით თორმეტ კაცისაგან შემდგარი დირექტორია არსდება.

გენერალ მიშლაევსკი.

ყოფილი მეფის ნაცვლის თანაშემწე გენერალ მიშლაევსკი თბილისში ჩამოვიდა. მას დავალებული აქვს მოხსენება წარუდგინოს მთავრობას კავკასიის მხედრობისა და სტრატეგიულ მდგომარეობის შესახებ.

ახალი ამბავი.

სკოლის დაარსება

— წყალ გალმა უბანში ამავე უბნის ინტელიგენტთა თაოსნობით დაარსდა ერთ კლასიანი სახალხო სკოლა.

კათოლიკოზის არჩევნები

— იმერეთის სამღვდელოებამ დრ. მართველობას შემდეგი თხოვნით მიმართა: იმერეთიდან კათალიკოზის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ წავა დელეგაცია რიცხვით სამასი კაცი, რომელთათვის საჭიროა განსაკუთრებული მატარებელი. სამღვდელოების მმართველობა კომისარს სთხოვს რკინის გზის მართველობის წინაშე შუამდგომლობას, რომ დეთმოს დელეგაციას საგანგებო მატარებელი. გუბერნიის კომისარმა გრ. გიორგაძემ უკვე აცნობა რკინის გზის მმართველობას სამღვდელოებისათვის ცალკე მატარებლის დათმობა.

ნიკო ნიკოლაძე.

—გაზ. „კავკაზსკოე სლოვო“ ატყობინებენ რომ ნ. ნიკოლაძე სტოვებს ქ. ფოთს. მანვე უარი განაცხადა ქიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეობის თანამდებობაზე.

ცნობა გუბერნიის კომისარს.

— გუბერნიის კომისარს კავკასიის ლაშქრის მთავარ-სარდლიდან სასწრაფო დეპეშა მოუვიდა, რომ ჯარი კორნილოვმა სატახტო ქალაქის წინააღმდეგ გაილაშქრა და საჭიროა მცხოვრებთა მოწოდება მშვიდობიანობის შესანარჩუნებლათ.

ტყავის დაჭერა.

— დაიჭირეს 40 ფუთი ფეხსაცმელის ტყავი.

საპატიმროდგან განთავისუფლება

გაანთავისუფლეს ნესტორ კოკაია რომელსაც კონტრევოლიუციონერობას სწამებდენ.

გაძარცვა

24 აგვისტოს ბაღდ[illegible]ზე გაძარცვეს ხუ[illegible]ცაძე [illegible] ყუფარაშვილი [illegible] 115 ქვეითა სათადარიგ[illegible] ჯარის კაცი [illegible] აბულაძე [illegible]

თვნიან მოსამსახურეთა რიცხვს, მრეცხავ ქალებს, ფაბრიკის მუშებს და სხვა. უკანასკნელიც არ არის ბევრი, სულ 5 პროც. მაშინ, როდესაც მკერავი ქალები შეადგენდენ 20 პროც. და მოსამსახურენი კი 25 პროც.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ დოქტორი ბლაშკოს შეხედულობა, თუ როგორ იზრდება მოსამსახურეთა რიცხვი ბერლინის პროსტიტუტკებში, მაშინ როდესაც მცირდება ის ფაბრიკის მუშა ქალებში. ამ უკანასკნელის მოვლენას დ-რი ბლაშკო ხსნის მით, რომ მუშათა ცხოვრება უკანასკნელ ხანებში გაუმჯობესდა არა მარტო ეკონომიურად, არამედ ეტიკურადაც, რომლის წყალობით ბერლინის მუშა ქალების რიცხვი თანდათანობით კლებულობს პროსტიტუციაში.

ამავე მოვლენას ვხედავთ პეტროგრადში. მაშინ, როდესაც მოსამსახურეთა რიცხვი თანდათან მატულობს ბიწიერებაში. ჩვენ უკვე დავასახელეთ მრავალი მიზეზები, რომელიც აგდებს მათ გარყვნილებაში, მათ უნდა მიუმატოთ გონებრივი ჩამორჩენა პეტერბურგელ მოსამსახურე ქალებისა.

რამოდენიმე წლის წინად პეტერბურგში დაარსებული იყო ახალ[illegible] ქალიშვილებზე მზრუნველი საზოგადოება, რომელმაც თავის მი[illegible] დაისახა ეზრუნვა განსაკუთრებით უბრალო წოდების ქალიშვილებზე. საერთო ცხოვრებით და საკვირაო საუბრებით მუშა ქალებთან საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ მათი ახლო გაცნობისა. ასეთი გაცნობა კი გვიჩვენებს, რომ გონებრივი სიმაღლე ფაბრიკაში მუშა ქალისა გაცილებით მაღლა სდგას ოჯახში მოსამსახურე ქალებზე. პირველს მეტი მისწრაფება აქვთ ცოდნისაკენ, ისინი უფრო მეტს კითხულობენ, ვიდრე უკანასკნელნი. რის გამო პირველი ზნეობრივათაც მაღლა სდგას მეორეზე. ეს ამტკიცებს მას, თუ რამდენათ სცდებიან ისინი, რომელნიც ფაბრიკაში მომუშავე ხალხს გარყვნილებაში ამტყუნებენ. ეს აბათილებს იმ გავრცელებულს აზრსაც, თითქო ფაბრიკაში მუშაობა ქალებს რყვნიდეს, რომლის გამო მოითხოვენ იქიდან ქალების გაძევებას. ნამდვილად ასეთი შრომის აკრძალვა კი არ არის საჭირო, არამედ მისი გაფართოება, რადგან ასეთი შრომა იფარავს მათ პროსტიტუციიდან. ფაქტები გვიჩვენებს, რომ ფაბრიკის შრომა კი არ ღუპავს ქალებს; არამედ შრომა ოჯახში მოსამსახურისა. ამისათვის საჭიროა ან აეკრძალოთ მათ ასეთი მუშაობა, ან და შეიცვალოს ის პირობები, რომელიც ოჯახში მოსამსახურეს აგდებს პროსტიტუციაში. ფაბრიკელებისა და მოსამსახურის შედარებით ჩვენ გამოგვყავს ის დასკვნა, რომ გონებრივი ამაღლება უკანასკნელის ამ შემთხვევაში მიუცილებელი საჭირო ხდება.

საჭიროა აგრეთვე, რომ შეიცვალოს მისი მონური მდგომარეობა ოჯახში, და ამ გვარად ავამაღლოთ მისი თვით პატივისცემისადმი გრძნობიერება. ადამიანს, რომელსაც ყველა გარშემო მყოფი დასცქერს მაღლიდან, რომლის სამართლიანათ თუ, უსამართლოთ გაწყრომა ყველას შეუძლია და ის კი იმის შიშით, რომ არ დაკარგოს ადგილი, იძულებულია ყველაფერი აიტანოს და მოითმინოს; არ შეეძლება თავის თავის პატივისცემა, მით უმეტეს მაშინ, თუ რომ ის ასეთს მდგომარეობაში ახალგაზდობაში ვარდება.

ამ შემთხვევაში ინტელიგენტ ქალების წინაშე საკითხი დგება: შეამუშაონ ისეთი დამოკიდებულება მოსამსახურესთან, რომელიც ოჯახური ავტორიტეტის დაუკარგველად განავითარებდეს და დაიცავდეს მოსამსახურეში გრძნობას თავის ადამიანური ღირსებისას და არა მონურ გულის მოგებას და შიშს.

ინტელიგენტ ქალების წინაშე აგრეთვე კითხვა სდგას, რომ გამონახონ საშუალება, რომელიც დაიფარავდეს ახალგაზდა მოსამსახურეს ოჯახის წევრთა მამაკაცების ცუდი ყოფა-ქცევიდან.

ექიმი შ. ი. პაკროვსკაია.

(შემდეგი იქნება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას 3 სეკტემბერს საერთო ქალთა კლუბის ბიუროში საღამოს 7 საათზე **კატო მიქელაძე** წაიკითხავს

ლექციას

სათაურით „საჭიროა, თუ არა ქალთა კავშირები“!

ეკატერინე ბრეშკო-ბრეშკოვსკაია.

იმავე სოფელში ცხოვრობდა ბელადი სექტანტებისა, ივანე,—კაცი დასჯილი თავისი რწმენისათვის, მცოდნე სამღვთო წერილისა, რომელიც თავის მოძმეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მათი წინამძღოლის როლს ასრულებდა.

იმ წუთს, როცა სოფელში ბრეშკო-ბრეშკოვსკაია გამოცხადდა, ის არ იყო სახლში, სადღაც საქმეზე წასული იყო და ჩამოვიდა ზემო აღნიშნული კრების მეორე დღეს. იმ საღამოსვე დანიშნეს მეორე კრება სტეფანესას. მოიყარეს თავი სექტანტებმა, მოვიდა პროპაგანდისტკაც. მას კარგათ შეხვდენ, თუმცა შედარებით პირველ კრებთან, რაღაც ცვლილება ეტყობოდა მანსპინძლებს. სექტანტები უფრო ჩუმათ იყვნენ და თავდაჭერილნიც.

ბოლოს გაიღო კარი და შემოვიდა ბელადი რამდენიმე ძმების თანხლებით, რომელნიც მის სვიტას შეადგენდა. ეს იყო საშუალო ტანის კაცი, ჩასუქებული წითელი სახის, რომელიც თავისი გარეგნობით პროვინციალურს ჩარჩს მოგაგონებდა. ის სრულიად უბოდიშოთ მიადგა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას და გამომძიებელის შეხედულობით დაუწყო დათვალიერება, რის შემდეგ შეუდგა ფორმალურს გამოძიებას:

— საიდან? სად? რასთვის? რა ჰქვია? რამდენი წლისა ხარ? ორმოცის? საკვირველია, სახით არა სჩანს..

— რასთვის მეკითხებით ყველა ამას? უპასუხა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ,—მე მაქვს პასპორტი და თუ გნებავთ შემიძლია გიჩვენოთ.

— ჰა, პასპორტი გაქვთ? კიდევ შეეკითხა ივანე და დაჯდა.

— მაშ ეგრე, თქვენ ლაპარაკობთ, რომ მიწა ყველას თანასწორად უნდა ეკუთნოდესთ და რომ ხალხი ძალით უნდა შეუდგეს თავისთვის სამართლის მოპოვებას? განაგრძო მან.

— დიახ, ამას ვლაპარაკობ მე, უთხრა პროპაგანდისტკამ და შეუდგა საბუთების მოყვანას.

— მე სად შემეძლება შენთან დავა ირონიით მიუგო სექტანტმა,— თქვენ რუსი ხართ, ე. ი. განათლებული, მე კი ერთი უვიცი ხოხოლი ვარ... არაფერი არ მესმის..

აქ სცენაზე გამოვიდა ორი წერაკითხვის მცოდნე სექტანტი. ერთი პირველ კრებაზე დავას უწევდა პროპაგანდისტკას, მეორე კი ივანეს მოყვა. ის ახალგაზდა იყო და ტრაბახობდა ახალი მცნების ცოდნას, რომლის სხვა და სხვა ადგილებიდან ციტატები მოჰყავდა. ბელადი თავის მოწაფეს სიყვარულით შესცქეროდა, დამსწრენი კი დიდი კმაყოფილებით მსჭვალებოდენ, იმ წარმოდგენით, რომ მათში ასეთი გონიერი და მცოდნე კაცი ერია.

როცა ჯერი მიდგა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიაზე, მან დაიწყო სამღთო წერილიდან იმ ადგილების მოყვანა, რომელიც მის დებულებებს ამტკიცებდა. იმაზე ივანემ უპასუხა მას რომ ქალებს არ შეფერის საზოგადო კრებებში გამოსვლა და დავა.

— შე[illegible]ება თქვენი ჩვეულება [illegible]ბას გაუმჯობე[illegible] ქალებს ხმის ამოღ[illegible]ისას ადრე ქ[illegible] ამს ადგილში ასე[illegible] ჩვეუ[illegible] თავის[illegible] [illegible]ვენელოვა რის და მე მიჩვეული ვარ კრებებზე ლაპარაკს და უფლება მაქვს აქაც ვილაპარაკო, უპასუხა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ. აქ ის შეუდგა ხალხის გაჭირვების დასურათებას, და რადიკალურ ცვლილებების მოხდენის საჭიროებას, რომელსაც შეეძლება ხალხის გაჭირვებიდან და სიღატაკიდან გამოყვანა. სექტანტები ოხრავდენ, გვნეშოდენ, მაგრამ ბელადის გულს არაფერი ხვდებოდა.

— რას ვიზამთ?—ამბობდა იგი,— ღვთის ნებაა ყველაფერი და ჩვენც უნდა ვილოცოთ, რადგან ჩვენი ცოდვებისთვის ღმერთი გვჯის.

— დიახ,—დაეთანხმა კრება,— უნდა ვილოცოთ, რომ უფალმა გვაპატიოს, თორემ ჩვენ როგორ შეგვეძლება მისი წინააღმდეგობის გაწევა?! რადგან ღმერთმა გამოგზავნა ტანჯვა, უნდა დავმორჩილდეთ მას და ვატაროთ ჩვენი ჯვარი. ივანე ჩქარობდა, რომ უცნობ ქალს ცდუნებაში არ შეეყვანა მისი სამწყო და სურდა გაეთავებინათ ლაპარაკი.

— ნე რომ არ მესმოდეს, როგორც რიგია სახარება ეხლავე ჯაგა ბეზღებდით მთავრობასთან.

— ამით მე თქვენ სრულიად არ გამაკვირვებდით, მიუგო ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ,—ჯაშუშები მთავრობას ყველგანა ჰყავს და მათ ყველგან შეხვდება ადამიანი.

რამდენიმე კაცი შეწრიალდა.

— როგორ, ამბობდენ ისინი— დაბეზღება როგორ შეიძლება? ეს ხომ თავის თავისთვის არ ზრუნვას, არამედ მთელი ხალხისათვის!... მას ხალხი ებრალება.

მთელი კრება რაღაც შეწუხებასა გრძნობდა. ივანესაც შერცხვა. ამ დროს ერთმა წინადადება მისცა, რომ ემღერათ. დაიწყენ პსალომი გერმანული კილოთი, რის შემდეგ ყველანი დაიშალენ.

(შემდეგი იქნება)

საუბარი მუშა ქალებთან.

ავიღოთ თვით რკინის გზა. აქ მუშა ქალების ხელი დღითი დღე მატულობს და რას ვხედავთ?

თქვენ ეგების ფიქრობთ, რომ ისენი მამა კაცებთან გათანასწორებულია? სრულიადაც არა! მათში ადამიანებს არც კი ხედავენ, ისენი მხოლოდ გასართობათ მიაჩნიათ.

იმავე დროს ქალი მშრომელი, რომელიც მამაკაცებს მუშაობაში არ ჩამოუვარდება, თავს იმცირებს, თავის „მეს“ კარგავს და ათას ნაირ პრანჭვა გრეხით თავს ევლება, ელოლიავება რომ ვაჟის გული მოიგოს.

დაბა სამტრედიაში სადგურის უფროსის თანაშემწის თავ გასულობა იმ ზომამდე მივიდა, რომ გულწრფელი მშრომელი ენერგიით სავსე თანამოსამსახურე ქალი კინაღამ წუთი სოფლის გამოასალმა.

საბრალო მსხვერპლმა ამ ულმობელ გულქვა ადამიანის მოქმედებას ვერ გაუძლო, სიტყვიერათ ვერა შეკადრა, ყოველი სევდა ვარამი გულში ჩაიკლა და უდროვოთ წუთი სოფელს კინაღამ დაშორდა.

ერთ „სოციალისტ“ მამაკაცს შევეკითხე: მეგობარო! მიზეზი რა არის იმის, რომ ქალებს ქალთა კავშირის ნებას არ აძლევთ მეთქი. პასუხს ვღებულობ: „ძმაო გზას დაშორებიხარ, ქალებს მიეცი შენ, თავისუფლება და კაი რამეს დაინახავ. მაშინ არის რომ ოჯახი აგიფორიაქდება და ცხოვრება შეუძლებელი გაგიხთება.“ ეს სიტყვები სასაცილოა, და იმავე დროს სატირალი.

ამ ვაჟბატონს ავიწყდება ის, რომ თავისუფალი ადამიანი, რომელიც ადამიანურ უფლებებს არ არის მოკლებული, ღირსეულად და მწყობრად განაგებს ოჯახს. წესიერად ზრდის შვილებს და სიყვარულით არის ქმართან.

და იმ ადამიანს კი, რომელსაც ცოლი კარ-ჩაკეტილი ჰყავს და იმონებს მას, ეს მონა არსება მას უსასტიკეს მტრათ უხდება. ამისანა არსება ქმარს გველური ალერსით ელოლიავება და ამ ალერსში ყოველივე საქმეს ფარულად აკეთებს. მას ოჯახზე გულიც უცრუვდება, არ აინტერისებს, როგორც მონას არ აინტერესებდა ბატონყმობის დროს ბატონის ოჯახი.

ამისანა არსება ყოველთვის ლამობს ჯალათის სახლიდან წასვლას, რომ თავისუფლად სული მოითქვას, რომ თავისუფლად ვისმეს დაელაპარაკოს გაერთოს. ან რა გასაკვირია რომ ქალები ასე იქცეოდენ.

როცა 100-ში ერთი პროცენტი მამაკაცებისა ძლივს ეწევა ადამიანურ ოჯახურ ცხოვრებას. დანარჩენი კი საროსკიპოებში, საკიტნოებში ღვინით ილეშებიან. მათთვის არ არსებობს არავითარი კანონი ისინი ამ უფლებებით აღჭურვილია

ამავე დროს საკმარისია ამისთანა ვაჟბატონმა თავისი ცოლი პირ მღიმარე დაინახოს შეკრებულებაში, რომ საბრალო არსებას მოსვენება არ მისცეს და ბუზღუნით სიცოცხლე გაუმწაროს. შენ, ვის უცინოდი და ან ვინ მოგცა ამის უფლება და სხვა.

ყველა თქვენთაგანი ამას განიცდის, უარესსაც და ამავე დროს სდუმხართ, და ხმას არ იღებთ.

ზოგიერთ ქალს, რომელსაც მონური დისციპლინა ძარღვებში აქვს გამჯდარი, იმას სასაცილოდაც არ ყოფნის ქალთა წრის დაარსება.

ეს მოვლენა სამწუხაროა, მაგრამ არც ისე, რომ მისი წარმავლობის იმედი არ ვქონდეს, ვინაიდან მას თვით ცხოვრება დაანახვებს არის, თუ არა საჭირო ქალთა ერთობა.

დებო, დაეშურეთ ორგანიზაციურად მოქმედებას.

საჭიროა ქალთა ორგანიზაცია თვით გამორკვევისათვის!

ის შესძლებს ქალთა მონობის მოსპობას, და მაშინ სამშობლო მხარეც აყვავდება და განთავისუფლდება!

გაუმარჯოს ქალთა ორგანიზაციას და მათ მჭიდრო კავშირს.

ძირს მამაკაცების თვითნებობა, ძირს ფარისეველთა რჩევა დარიგება!

სელოს — ძმა.

მისაბაძი მაგალითები

ბესარიონ კონსტანტინეს ძემ მიქელაძემ ს. კულაშის პირველ მაცხოვრის კუთხის სამკითხველოს გამოუწერა. ჩვენი გაზეთი. „ხმა ქართველი ქალისა“. წლის დამლევამდე.

ოლღა მინას ასულმა ბახტაძემ სამტრედიის სოფლის სამკითხველოს გამოუწერა გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ წლის დამლევამდე.

მადლობის გამოცხადება

სოფელ ზედა — თეკლათი

(სენაკის მაზრა)

უფასო წიგნთ საცავი — სამკითხველოსი გამგეობა დიდ—მადლობას უძღვნის ნასტია გრიგოლიას ზემო აღნიშნული სამკითხველოსათვის მიმდინარე წლის ბოლომდი გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ გამოწერისათვის.

გამგეობის თავმჯდომარე:
ბადუ გამზარდია.

მოქალაქე რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადო დიდათ პატივცემულ მელქისედექ დიმიტრისძე მიქელაძეს, რომელმაც კეთილი ინება და შემოწირა კულაშის მთავარ ანგელოზის ეკლესიას 100 მ, უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს 100 მ, და თეატრის სახლს 100 მ. რისთვისაც დიდ მადლობას უცხადებს კულაშის საზოგადოება და უსურვებს ჯანმრთელობას. განსაკუთრებით დიდ მადლობას უძღვნიან თეატრის გამგეობის წევრნი

ელისაბედ მამფორია.

დამაკვირდი.

ქალები სტყუიან მისთვის, რომ დაფარონ ის, რასაც ვანიცდიან (ე. ი. სიყვარულს.) მამაკაცები კი მისთვის, რომ აჩვენონ ის, რასაც არ განიცდიან.

ლეგუვე

კანონი აძლევს ქალებს სამართლიანობაზე ნაკლებს

გლასტონი

ქვეყანაზე ისეთი არაფერი არ არსებობს, რისიც გაგება ქალებს არ შეეძლოსთ

✓

ლოტცე

როცა ქალებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად მოეხმარათ თავისი ნიჭი, ისენი ყოველთვის მამაკაცებზე მაღლა იდგენ.

ფურიე

ქალებისათვის მისთვის ვერ ნახულობენ შესაფერ საქმეს, რომ მათ უცქერიან, როგორც უგნურებს.

ტენისონი.

წინ და წინ მისი გადასწყვეტა რაღაც საერთო მოსაზრების მიხედვით, რომ ცნობილი პირნი არ გამოდგება ცნობილ საქმისათვის ალიარებულია, როგორც უფლების გადაჭარბება

დჟ. სტ. მილი